საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

N 11
25/01/2023

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის N10 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N27 ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიტიკის დეპარტამენტი:“;

ბ) ბრძანების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი:“.

2. სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ (ნ. ზაქარიაძე) უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ბრძანების გაცნობა შესაბამის პირებზე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, მისამართი ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9 და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამართი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30, ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ზაზა შავაძე

მინისტრი